ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის
ბრძანება №ნ-9
2017 წლის 12 ივლისი
ქ. თბილისი

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესის შესახებ

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19 მუხლის მე-6 პუნქტისა და 7^1 პუნქტის შესაბამისად, ვბრძანებ:

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.

მუხლი 1

დამტკიცდეს:

ა) „ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი“ დანართი №1-ის შესაბამისად;

ბ) (ამოღებულია - 10.05.2018, №ნ-7);

გ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წარსადგენი ინფორმაციის ფორმები: „აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებების შესახებ ინფორმაცია“, „აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებების შესახებ ინფორმაცია“ და „ინფორმაცია გარიგებების შესახებ, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან“, დანართი №4-ის შესაბამისად;

დ) მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით პირისაგან/აუდიტორისაგან/აუდიტორული ფირმისგან მატერიალური ფორმით ან/და ელექტრონული ფორმით გამოსათხოვი ინფორმაცია/დოკუმენტაცია, დანართ №3-ის შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 10 მაისის ბრძანება №ნ-7 - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.

მუხლი 2. (ამოღებულია)

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 10 მაისის ბრძანება №ნ-7 - ვებგვერდი, 11.05.2018 წ.

მუხლი 3

ეს ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2016 წლის 25 ივნისიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

ბუღალტრული აღრიცხვის,
ანგარიშგებისა და აუდიტის
ზედამხედველობის სამსახურის
უფროსი

იური დოლიძე

დანართი №1

ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების წესი

მუხლი 1. წესის რეგულირების სფერო

ეს წესი განსაზღვრავს საქართველოში აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) (შემდგომ – აუდიტორული მომსახურების) ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის (შემდგომ – სამსახური) მიერ აუდიტორის და აუდიტორული (აუდიტური) ფირმის (შემდგომ – აუდიტორული ფირმა) და აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის (შემდგომ – მონიტორინგი) განხორციელების ადმინისტრირების საფუძვლებს, სამსახურის მიერ რისკის მართვის, პროფესიული ორგანიზაციის მიერ გაცემული დიაგნოსტიკური ანგარიშის (შემდგომ – დიაგნოსტიკური ანგარიში) წარდგენის, მონიტორინგის განმახორციელებელი პირების (შემდგომ – მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი) მიერ პროცედურების გონივრულად და სამართლიანად წარმართვის, წინასწარი და საბოლოო შედეგების განხილვის, რეკომენდაციის გაცემის, გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისა და მონიტორინგის ანგარიშის გასაჩივრების პროცედურებს.

მუხლი 2. წესის მიზანი

1. სამსახურის საქმიანობა, ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის ეფექტიანად გახორციელების მიზნით, მონიტორინგამდე ან/და მის მიერ მონიტორინგის ეტაპზე პირის/აუდიტორის, აუდიტორული ფირმისა და მისი გარიგების პარტნიორისათვის დაგეგმილი პროცედურები, მონიტორინგის საფუძველზე მიღებული გადაწყვეტილება (მათ შორის, რეკომენდაცია) ემსახურება საქართველოში აუდიტორული მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობას, სფეროში არსებული სისტემური რისკების გამოვლენას და მათი გავლენის შემცირებას, ზედამხედველობას დაქვემდებარებულ სექტორში ინფორმაციული ასიმეტრიის აღმოფხვრასა და პროცესების გამჭვირვალობის დონის ამაღლებას.

2. მონიტორინგის მიზანია:

ა) აუდიტორის, აუდიტორული ფირმის და მისი გარიგების პარტნიორის მიერ გამოყენებული პროცედურების აუდიტის, მიმოხილვის, სხვა მარწმუნებელი გარიგებებისა და დაკავშირებული მომსახურების საერთაშორისო სტანდარტებთან და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით (შემდგომ – კანონი) დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება;

ბ) ეთიკის წესების დაცვის, გამოყენებული რესურსების ხარისხისა და რაოდენობის, აუდიტორული მომსახურების განხორციელებისათვის მიღებული ანაზღაურების მართლზომიერების და ხარისხის კონტროლის სისტემის შეფასება.

3. სამსახური ყოველწლიურად აქვეყნებს აუდიტის ხარისხის მდგომარეობის შესახებ საერთო ანგარიშს. საერთო ანგარიში არ უნდა შეიცავდეს აუდიტორების/აუდიტორული ფირმებისა (მათ შორის, აუდიტორული ფირმის ხელმძღვანელობითი/წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირების, რეგისტრირებული პარტნიორებისა და დამფუძნებლების) და სუბიექტების შესახებ კონფიდენციალურ ინფორმაციას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

1. ამ წესის მიზნებისთვის მასში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) დარგის ექსპერტი - პიროვნება ან ორგანიზაცია, რომელსაც გააჩნია ექსპერტული ცოდნა ბუღალტრული აღრიცხვისა და აუდიტის გარდა სხვა სფეროში და რომლის მიერ აღნიშნულ სფეროში შესასრულებელ სამუშაოს იყენებს აუდიტორი/აუდიტორული ფირმა საკმარისი და შესაფერისი აუდიტორული მტკიცებულების მოპოვებაში დასახმარებლად. აუდიტორიული ფირმის ექსპერტი შეიძლება იყოს აუდიტორული ფირმის შიდა (რომელიც არის ამ აუდიტორის ფირმის ან ფირმების ქსელის პარტნიორი ან თანამშრომელი, მათ შორის დროებითი თანამშრომელი) ან გარე ექსპერტი;

ბ) შესასრულებელი ღონისძიებები – სამსახურის მიერ მონიტორინგის განხორციელების შედეგად ასახული იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი (შესასრულებელი ვადების მითითებით), რაც

სავალდებულოა აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის;

გ) რეკომენდაცია – მონიტორინგის შედეგად ხარისხის კონტროლის სისტემასთან მიმართებაში სამსახურის მიერ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმისათვის განსაზღვრული შესასრულებელი მოთხოვნები;

დ) პროფესიული სტანდარტები – კანონის შესაბამისად დადგენილი სტანდარტები;

ე) ინსპექტორი – კანონის მე-19 მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრული პირი, რომლის მეშვეობით სამსახური ახორციელებს აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მონიტორინგს;

ვ) აუდიტორი – აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრში (შემდგომ – რეესტრი) რეგისტრირებული აუდიტორი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს აუდიტორული მომსახურება ინდივიდუალურად.

2. გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტისა, ამ წესის მიზნებისათვის მასში გამოყენებული ტერმინები განიმარტება კანონის მოთხოვნათა შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018წ.

მუხლი 4. მონიტორინგს დაქვემდებარებული პირები და მონიტორინგის საფუძველი

1. მონიტორინგს ექვემდებარება:

ა) აუდიტორი;

ბ) აუდიტორული ფირმა ან/და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს სუბიექტს, არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს;

გ) აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა და მისი ყველა გარიგების პარტნიორი, რომელიც აუდიტორულ მომსახურებას უწევდა ან/და უწევს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს, ადგილობრივ თვითმმართველობის ორგანოსა და სხვა პირს, რომელთათვისაც შესაბამისი კანონმდებლობით დადგენილია ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ან საქმიანობის დამოუკიდებელი აუდიტის ჩატარების მოთხოვნა.

2. მონიტორინგი ტარდება:

ა) სავალდებულო წესით, კანონის მე-19 მუხლის მე-9 პუნქტით დადგენილ ვადებში;

ბ) სამსახურის ინიციატივით;

გ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით.

მუხლი 5. მონიტორინგი სავალდებულო წესით

აუდიტორისათვის და აუდიტორული ფირმისათვის თავდაპირველი მონიტორინგის განხორციელების თარიღის ვადის ათვლა იწყება რეესტრში რეგისტრაციის მომდევნო დღიდან, ხოლო ყოველი განმეორებითი მონიტორინგის განხორციელების თარიღის ვადის ათვლა ხდება მონიტორინგის შედეგების შესახებ სამსახურის გადაწყვეტილების მიღების მომდევნო დღიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 10 მაისის ბრძანება №ნ-7 - ვებგვერდი, 11.05.2018წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №ნ-17 - ვებგვერდი, 05.11.2019წ.

მუხლი 6. მონიტორინგი სამსახურის ინიციატივით

1. სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მონიტორინგის განხორციელება დაიწყოს კანონით განსაზღვრული ვადებისაგან განსხვავებულ ვადებში, რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, წინა მონიტორინგის შედეგების ან/და ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №4-ის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე) ან/და სამსახურისათვის წარდგენილი წერილის ან/და საჩივრის ან/და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. სამსახური რისკების მართვისათვის იყენებს შესაბამის მეთოლოგიას და პროგრამულ უზრუნველყოფას.

1[1]. იმ აუდიტორების/აუდიტორული ფირმების მიმართ, რომელთაც მინიჭებული აქვთ სტატუსი „კატეგორიის გარეშე", სამსახური უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით, მონიტორინგის განხორციელება დაიწყოს რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების (მათ შორის, ამ ბრძანებით დამტკიცებული დანართი №3-ის საფუძველზე წარმოდგენილი ინფორმაციის დამუშავების საფუძველზე) ან/და სამსახურისათვის წარდგენილი წერილის ან/და საჩივრის ან/და მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის არსებობისას. სამსახური რისკების მართვისათვის იყენებს შესაბამის მეთოდოლოგიას და პროგრამულ უზრუნველყოფას.

2. რისკების მართვის პროცესში მოცული უნდა იქნეს რეესტრში ასახული, ყველა აუდიტორი, აუდიტორული ფირმა და მისი ყველა გარიგების პარტნიორი.

3. სამსახური უფლებამოსილია რისკის შეფასების პროცესში ჩართოს შესაბამისი რეპუტაციის, კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე მოწვეული სპეციალისტი ან/და დარგის ექსპერტი.

4. სამსახური უფლებამოსილია, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მომდევნო მონიტორინგის ვადის დადგომამდე, განახორციელოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის თემატური მონიტორინგი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №ნ-2 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 7. მონიტორინგი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით

1. სავალდებულო წესით მონიტორინგის ვადის დადგომამდე აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია, საკუთარი ინიციატივით განცხადებით მიმართოს სამსახურს მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ. სამსახური, გარდა მე-20 მუხლის 5[3] პუნქტით განსაზღვრული შემთხვევისა, განცხადებას განიხილავს მისი წარმოდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

2. ის აუდიტორული ფირმა, რომელსაც გავლილი აქვს მონიტორინგი, შესრულებული აქვს მონიტორინგის შედეგების საფუძველზე სამსახურის რეკომენდაციები და შესასრულებელი ღონისძიებები, უფლებამოსილია, მომდევნო, სავალდებულო წესით მონიტორინგის ვადის დადგომამდე საკუთარი ინიციატივით განცხადებით მიმართოს სამსახურს მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ, თუ ბოლო მონიტორინგის შედეგებით:

ა) აუდიტორულ ფირმას არ მინიჭებია და სურს მოიპოვოს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება;

ბ) მიენიჭა სუბიექტისათვის (გარდა სდპ-ისა) ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება და სურს ვადამდე (განმეორებითი) მონიტორინგი;

გ) შეზღუდვით მიენიჭა სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება და სურს ვადამდე (განმეორებითი) მონიტორინგი.

3. (ამოღებულია - 16.07.2021, №ნ-12).

4. (ამოღებულია - 16.07.2021, №ნ-12).

5. ამ მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემა მიმოხილულია საერთაშორისო ქსელის ფარგლებში, სავალდებულოა სამსახურისათვის წარდგენილ განცხადებას ერთოდეს დიაგნოსტიკური ანგარიში, ამ წესის მე-8 მუხლით გათვალისწინებული წესით.

5[1]. ქსელის ფარგლებში ხარისხის კონტროლის სისტემის მიმოხილვის დოკუმენტაცია/დასკვნა უნდა აკმაყოფილებდეს ხკსს 1-ის 48-ე - 56-ე პუნქტების მოთხოვნებს.

6. საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია, ამ წესის მოთხოვნათა დაცვით, მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართოს სამსახურს, იმ შეთხვევაში, თუ საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელ აუდიტორს/აუდიტორული ფირმის თითოეულ გარიგების პარტნიორს აქვს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის არანაკლებ 3 დასრულებული გარიგება.

7. ის აუდიტორული ფირმა/საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორი, რომელსაც გავლილი აქვს მონიტორინგი, უფლებამოსილია, ამ წესის მოთხოვნათა დაცვით, მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადებით მიმართოს სამსახურს იმ შემთხვევაში, თუ აუდიტორული ფირმის თითოეულ გარიგების პარტნიორს/საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელ აუდიტორს მონიტორინგის დასრულების შემდეგ დასრულებული აქვს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის არანაკლებ 3 გარიგება.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

მუხლი 8. პროფესიული ორგანიზაციის როლი. დიაგნოსტიკური ანგარიში

1. ამ წესის მიზნებისთვის კანონის მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის მოთხოვნის ფარგლებში პროფესიული ორგანიზაცია უზრუნველყოფს წევრ აუდიტორებთან/აუდიტორულ ფირმებთან მუდმივ თანამშრომლობასა და შემდეგი ღონისძიებების განხორციელებას:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის კუთხით, აუდიტორებისა და აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული ყველა პირის ტრენინგებსა და განგრძობით განათლებას, ფირმებს შორის თანამშრომლობისა და გამოცდილების გაზიარებას;

ბ) ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული, სამსახურის მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე მითითებასა და ამ წესით დადგენილ ფარგლებში მეთოდური დოკუმენტაციის და სახელმძღვანელო მასალების შემუშავებას ან/და მიწოდებას;

გ) მონიტორინგისათვის მზადყოფნის მიზნით, წევრი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკურ შეფასებას, მათ მიერ მოთხოვნის შემთხვევაში;

დ) სხვა ღონისძიებებს (მათ შორის, პროფესიულ სტანდარტებთან შესაბამისობის სემინარებს), რაც უზრუნველყოფს აუდიტორული საქმიანობის მარეგულირებელი სტანდარტების მოთხოვნების პრაქტიკაში დანერგვას;

ე) სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ხარვეზების აღმოფხვრისათვის საჭირო ღონისძიებების ჩატარების ხელშეწყობას.

2. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელსაც არ გააჩნია საკმარისი რესურსი ხარისხის კონტროლის სისტემის დასანერგად, უფლებამოსილია მიმართოს პროფესიულ ორგანიზაციას სათანადო ხელშეწყობის მოთხოვნით. თავის მხრივ, პროფესიული ორგანიზაცია, აუდიტორულ მომსახურებასთან დაკავშირებული რისკების წარმოჩენისა, პროფესიული ორგანიზაციის წევრების მიერ პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსისა (IESBA Code) და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების შესრულების უზრუნველყოფის მიმართულებით ცნობიერების ამაღლების მიზნით, ვალდებულია განახორციელოს შესაბამისი ქმედებები მონიტორინგისათვის მზადყოფნის

ხელშეწყობისათვის.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის მიზნებისათვის, პროფესიულმა ორგანიზაციამ მისი წევრი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური შეფასებისთვის უნდა უზრუნველყოს მაღალი კვალიფიკაციის მქონე ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების მოწვევა.

4. ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების მიერ ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების მშედეგად მომზადებული დიაგნოსტიკური ანგარიში აღწერს აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმაში არსებულ შეუსაბამობებს და შესაბამის აუდიტორს/გარიგების პარტნიორს მიუთითებს გამოსწორების გზებზე. დიაგნოსტიკური ანგარიში არ მოიცავს მტკიცებას პირის მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით ხარისხის კონტროლის გავლის თაობაზე.

5. ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების პროცესი ხორციელდება:

ა) ფირმის დონეზე – ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQC 1) შესაბამისობის კუთხით;

ბ) გარიგების დონეზე – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISA) შესაბამისობის კუთხით.

6. (ამოღებულია - 31.07.17, №ნ-10).

7. პროფესიული ორგანიზაცია და მისი ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტები არ არიან პასუხისმგებელნი ხარისხის კონტროლის სისტემის დანერგვაზე და მონიტორიგის შედეგზე. საჭიროების არსებობისას, სამსახური უფლებამოსილია მოითხოვოს სპეციალისტთა ჩანაცვლება, თუ მათ კვალიფიკაციის დონეს არადამაკმაყოფილებლად ჩათვლის.

8.დიაგნოსტიკური ანგარიშის მისაღებად პროფესიული ორგანიზაციისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წარდგენილი ინფორმაცია და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების მიერ დადებული დასკვნა კონფიდენციალურია და არ ექვემდებარება გასაჯაროვებას. პროფესიულმა ორგანიზაციამ ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკური შეფასების პროცესში ეთიკური ნორმების დარღვევის აღმოჩენის შემთხვევაში ვალდებულია იმოქმედოს მისთვის კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

9. ხარისხის კონტროლის სისტემის დიაგნოსტიკურ შეფასებასთან დაკავშირებული პირობები, პროცედურები და ვადები განისაზღვრება მხარეთა მიერ დადებული ხელშეკრულებებით.

10. პროფესიული ორგანიზაციის როლი შემოიფარგლება მხოლოდ იმ აუდიტორული მომსახურებების ხარისხის უზრუნველყოფის ხელშეწყობით, რომელსაც აუდიტორი ახორციელებს საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. სამსახურს დიაგნოსტიკური ანგარიში არ წარედგინება, გარდა იმ შემთხვევისა, თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, ამ წესის მე-7 მუხლის საფუძველზე, საკუთარი ინიციატივით განცხადებით მიმართავს სამსახურს მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ.

12. დიაგნოსტიკური ანგარიში გაცემული უნდა იყოს სამსახურისათვის მიმართვამდე არაუადრეს 6 თვით ადრე.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 31 ივლისის ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 31.07.2017 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.

მუხლი 9. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მზადყოფნა

1. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს ევალება პროფესიული სტანდარტების ცოდნა.

2. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა აუდიტორული მომსახურების განხორციელებისას ვალდებულია დაიცვას მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფასთან დაკავშირებული კანონმდებლობით

განსაზღვრული მოთხოვნები.

3. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია სამსახურის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად აკმაყოფილებდეს რეესტრში რეგისტრაციის პირობებს. სამსახური უფლებამოსილია რეესტრში ასახული ინფორმაციის სისწორის გადამოწმების მიზნით პირისგან/აუდიტორისგან/აუდიტორული ფირმისგან გამოითხოვოს ინფორმაცია/დოკუმენტაცია. სამსახურის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში პირი/აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია სამსახურს მიაწოდოს ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია.

4. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია მხოლოდ ისეთი მომსახურების გაწევას დაეთანხმოს, რომლის შესრულებაც კომპეტენტურად შეუძლია კანონით გათვალისწინებული პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.

მუხლი 10. მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ განცხადების განხილვა

1. მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნის შესახებ აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ინიციატივით წარდგენილი განცხადება (შემდგომ – განცხადება) უნდა მოიცავდეს:

ა) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მოტივაციას;

ბ) დიაგნოსტიკურ ანგარიშს ან/და ხარისხის კონტროლის სისტემის მიმოხილვას ქსელის ფარგლებში;

გ) (ამოღებულია - 10.05.2018, №ნ-7);

დ) აუდიტორული საქმიანობის (მომსახურების) გარიგებების შესახებ ინფორმაციას, აუდიტორული გარიგების სუბიექტთან არსებული სხვა გარიგებების შესახებ ინფორმაციას და ინფორმაციას გარიგებების შესახებ, რომელიც არ არის დაკავშირებული აუდიტის დამკვეთთან, დანართი №4-ის შესაბამისად;

2. განცხადების განხილვა მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) განმცხადებელი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესწავლა, სამსახურის სისტემაში არსებული და დამატებით წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე;

ბ) დიაგნოსტიკური ანგარიშის ან/და ქსელის ფარგლებში ხარისხის კონტროლის სისტემის მიმოხილვასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის/დასკვნის განხილვა;

გ) საჭიროების შემთხვევაში გასაუბრება აუდიტორთან, აუდიტორულ ფირმის გარიგების პარტნიორებთან და ფირმის ხელმძღვანელობასთან;

დ) აუდიტორული ფირმის საქმიანობის მოცულობისა და სირთულის განსაზღვრა, შესაბამისი და ადეკვატური მონიტორინგის განხორციელების მიზნით;

ე) განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

3. თუ განცხადების განხილვისას სამსახურის სისტემაში არსებული ინფორმაცია არ ასახავს მიმდინარე თარიღისათვის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის შესახებ არსებულ ინფორმაციას, მონიტორინგის პროცესის სწორად დაგეგმვის უზრუნველსაყოფად სამსახური უფლებამოსილია აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას მოსთხოვოს არსებული ინფორმაციის განახლება ან/და გადამოწმება.

4. სამსახური განცხადებას განიხილავს და განცხადების დაკმაყოფილების ან განცხადებაზე უარის თქმის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს მე-7 მუხლის პირველი და მე-20 მუხლის 5^3 პუნქტებით გათვალისწინებულ ვადებში.

5. გადაწყვეტილება აუდიტორულ ფირმას ეგზავნება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში. მოთხოვნის დაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ეგზავნება ასევე ელექტრონული საშუალებებით.

6. სამსახური ვალდებულია მოთხოვნის დაკმაყოფილების შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 კვირისა დაიწყოს მონიტორინგი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 10 მაისის ბრძანება №ნ-7 - ვებგვერდი, 11.05.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №ნ-2 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 11. აუდიტორის და აუდიტორული ფირმის ვალდებულება მონიტორინგთან მიმართებაში

1. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი ვალდებულია წარადგინოს სამსახურის მიერ მონიტორინგისათვის მოთხოვნილი საჭირო ინფორმაცია და დოკუმენტაცია, სამსახურის მიერ დადგენილ ვადაში.

2. აუდიტორი, გარიგების პარტნიორი და აუდიტორული ფირმიდან ჩართული ყველა სხვა (მათ შორის, მოწვეული) პირი ვალდებულია დაიცვას მონიტორინგის პროცესში მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა, როგორც პროფესიული მომსახურების განხორციელების პროცესში, ისე მის შემდეგ, დროის გასვლისა და საქმიანობის შეცვლის მიუხედავად, გარდა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

3. გარიგების პარტნიორის მიერ უფლებამოსილების სხვა პირზე დელეგირების შემთხვევაში, გარიგების პარტნიორი ვალდებულია აღნიშნული პირის თაობაზე ინფორმაცია წარუდგინოს სამსახურს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №ნ-17 - ვებგვერდი, 05.11.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

მუხლი 12. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი

1. მონიტორინგი ხორციელდება არანაკლებ 2 ინსპექტორისგან შემდგარი მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მეშვეობით, რომელთაგან ერთ-ერთი, სამსახურის მიერ ინიშნება მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელად.

2. სამსახური უზრუნველყოფს ინსპექტორების კვალიფიკაციის, ტექნიკური უნარ-ჩვევებისა და გამოცდილების შესაბამისობას კანონით დადგენილ მოთხოვნებთან.

3. ინსპექტორს არ აქვს უფლება ჩაატაროს მონიტორინგი იმ შემთხვევაში, თუ მონიტორინგამდე ან მონიტორინგის პროცესში გამოვლინდა მასსა და აუდიტორს ან აუდიტორულ ფირმას, მათ შორის მის სისტემაში არსებულ პირებს შორის არსებული ან სამომავლო ურთიერთობა, რომელმაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მონიტორინგის შედეგებზე.

მუხლი 13. სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის პროცესისა და პროცედურების მიმართ დამატებითი მოთხოვნები

1. აუდიტორულ ფირმას, რომელსაც სურს ჩაატაროს სდპ-ს ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, კანონით და ამ წესით გათვალისწინებული მოთხოვნების გარდა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ დამატებით მოთხოვნებს:

ა) ჰყავდეს არანაკლებ 2 (ორი) გარიგების პარტნიორი;

ბ) ჰყავდეს არანაკლებ 2 (ორი) გარიგების დამოუკიდებლად შემსრულებელი ჯგუფი;

გ) საჭიროების შემთხვევაში – დარგის ექსპერტი (აუდიტის საერთაშორისო სტანდარტი (ISA - 220);

დ) ელექტრონული ფორმით დანერგილი ჰქონდეს აუდიტის მართვისა და ინფორმაციის დოკუმენტირების არქივაციის საშუალება;

[დ) ელექტრონული ფორმით, აუდიტისთვის განკუთვნილი, სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის მეშვეობით ახორციელებდეს აუდიტის მართვასა და ინფორმაციის/დოკუმენტაციის დაკომპლექტებას/არქივაციას; ***(ამოქმედდეს 2023 წლის პირველი იანვრიდან)***]

ე) ჰქონდეს შესაბამისი პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევა;

ვ) აკმაყოფილებდეს მარეგულირებელი/საზედამხედველო ორგანოს მიერ საქმიანობის/დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე განსაზღვრულ დამატებით მოთხოვნებს.

2. მონიტორინგს დაქვემდებარებული გარიგების შემსრულებელი გარიგების პარტნიორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციას თან უნდა ერთოდეს გარიგების ხარისხის კონტროლის მიმომხილველის შეფასება, კანონმდებლობის/პროფესიული სტანდარტების ან/და აუდიტორული ფირმის პოლიტიკის დამატებითი მოთხოვნების შესაბამისად

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული ხარისხის კონტროლის მიმომხილველი შესაძლებელია იყოს პარტნიორი, ფირმაში დასაქმებული სხვა პირი, შესაფერისი კვალიფიკაციის მქონე პირი ფირმის გარეთ ან ამგვარი პიროვნებებისაგან შემდგარი ჯგუფი (რომელთაგან არც ერთი არ არის სამუშაო ჯგუფის წევრი), რომლებსაც გააჩნიათ საკმარისი და შესაფერისი გამოცდილება და უფლებამოსილება, რომ ობიექტურად შეაფასოს სამუშაო ჯგუფის მიერ ჩატარებული მნიშვნელოვანი განხილვები და გარიგების დასკვნის (ანგარიშის) შესადგენად გამოტანილი დასკვნები.

4. გარიგების პარტნიორს პასუხისმგებლობა ეკისრება იმ აუდიტორული გარიგების ხარისხზე, რომელზეც ის არის დანიშნული. ხარისხის კონტროლის მიმომხილველი არ არის პასუხისმგებელი იმ აუდიტორულ დასკვნაზე, რომლის შეფასებასაც ახორციელებს. ხარისხის კონტროლის მიმომხილველის მიერ შესრულებულ სამუშაოზე პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას, რომელმაც იგი დანიშნა მიმომხილველის როლის შესასრულებლად.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

მუხლის 14. მონიტორინგის სახეები

1. მონიტორინგის სახეებია სრული (კომპლექსური) და თემატური მონიტორინგი.

2. სრული (კომპლექსური) მონიტორინგი მოიცავს დანერგილი ხარისხის კონტროლის სისტემის ყველა ელემენტს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რამაც შეიძლება ხარისხის უზრუნველყოფაზე გავლენა მოახდინოს.

3. თემატური მონიტორინგი მოიცავს ხარისხის კონტროლის სისტემის იმ ცალკეულ ელემენტებს, შერჩეულ გარიგებებს და საქმიანობის წარმართვის სხვა სფეროებს, რაც სამსახურის მიერ განსაზღვრულია რისკის მატარებლად, ასევე, აუდიტორული ფირმისათვის მომდევნო მონიტორინგის ვადის დადგომამდე ცალკეული გარიგების პარტნიორის მიერ შესრულებული გარიგებების მონიტორინგს აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISA) შესაბამისობის კუთხით.

3[1]. მონიტორინგის შედეგად აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის მიცემული შესასრულებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლი ხორციელდება თემატური მონიტორინგით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების ფარგლებში გამოვლინდა მონიტორინგის სრულად (კომპლექსურად) ჩატარების საფუძველი.

4. თემატური შემოწმების მსვლელობისას აღმოჩენილი რისკების შინაარსიდან და აუდიტორულ

მომსახურებაზე შესაძლო უარყოფითი ზეგავლენიდან გამომდინარე მონიტორინგის სამუშაო ჯგუფმა სამსახურთან შეთანხმების საფუძველზე შესაძლოა გადაწყვიტოს სრული მონიტორინგის ჩატარება.

5. ამ წესით განსაზღვრული მონიტორინგის ეტაპები და მონიტორინგის განხორციელების წესი შეეხება სრულ (კომპლექსურ) მონიტორინგს. თემატური მონიტორინგის ეტაპები და განხორციელების წესი განისაზღვრება თემატური მონიტორინგის დაწყების თაობაზე სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.

6. თემატური მონიტორინგის შედეგები (მინიჭებული უფლებამოსილება, მომსახურების შეზღუდვა და პასუხისმგებლობის სახე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯაროა. აღნიშნული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №ნ-25 - ვებგვერდი, 28.12.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №ნ-2 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 15. მონიტორინგის ეტაპები

1. მონიტორინგი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

ა) წინასამონიტორინგო ანალიზი;

ბ) მონიტორინგის გეგმის შედგენა;

გ) მონიტორინგის ძირითადი პროცედურები;

დ) მონიტორინგის ძირითად პროცედურების საფუძველზე მონიტორინგის წინასწარი შედეგების მომზადება და აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის წარდგენა;

ე)აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინასწარ შედეგებზე, მათ შორის, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ მომზადებულ გამოსწორების გეგმაზე და სამსახურის რეკომენდაციაზე წარმოდგენილი შენიშვნების/წინადადებების, განხილვა და მონიტორინგის საბოლოო ანგარიშის მომზადება;

ვ) მონიტორინგის საბოლოო ანგარიშის დამტკიცება.

1^1. მონიტორინგის პროცესის ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს 6 თვეს. ვადის ათვლა იწყება მონიტორინგის დაწყების თაობაზე სამსახურის უფროსის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემიდან. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ დოკუმენტაციის/ინფორმაციის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში წარუდგენლობა იწვევს ამ პუნქტით გათვალისწინებული ვადის დინების შეჩერებას.

2. მონიტორინგისას, თუ დგას სუბიექტის ან მესამე პირის შეცდომაში შეყვანის, შეცდომის გამოწვევის ან/და მოსალოდნელი გაუგებრობის რისკი, სამსახური უფლებამოსილია მოსალოდნელ რისკებთან დაკავშირებული ინფორმაცია წარუდგინოს საკითხით დაინტერესებულ ორგანოს/სახელმწიფო უწყებას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

მუხლი 16. წინასამონიტორინგო ანალიზი

წინასამონიტორინგო ანალიზის ფარგლებში სამსახური ახდენს იმ ინფორმაციის და გარემოებების ანალიზს, რომელსაც მოიპოვებს:

ა) საჯარო ინფორმაციის წყაროებიდან;

ბ) მოკვლევის ღონისძიებებიდან;

გ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმისგან (მათ შორის, წარმომადგენლებთან გასაუბრებიდან);

დ) სარეგისტრაციო (მათ შორის, განახლებადი) დოკუმენტაციიდან/ინფორმაციიდან;

ე) დიაგნოსტიკური ანგარიშიდან, ქსელის ფარგლებში ხარისხის კონტროლის მიმოხილვიდან ან უკანასკნელი მონიტორინგის შედეგებიდან (არსებობის შემთხვევაში).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.

მუხლი 17. მონიტორინგის გეგმა

1. მონიტორინგის გეგმით განისაზღვრება ინსპექტორების ვინაობა, მონიტორინგის დაწყების თარიღი, მონიტორინგის ეტაპები, შესამოწმებელი გარიგებები და პროცედურების წინასწარი გრაფიკი.

2. წინასამონიტორინგო ეტაპზე მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე შესაბამისი კრიტერიუმებისა და რისკფაქტორების გათვალისწინებით სამსახურმა უნდა გააანალიზოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ წინასამონიტორინგო ეტაპზე სამსახურისათვის წარდგენილი ყველა გარიგება და განსაზღვროს მონიტორინგის გეგმაში შესატანი გარიგებების ჩამონათვალი. მონიტორინგის ეტაპზე სამსახური უფლებამოსილია ცვლილება განახორციელოს მონიტორინგის გეგმაში.

3. მონიტორინგის გეგმაში აუდიტორისა და აუდიტორული ფირმის თითოეულ გარიგების პარტნიორთან მიმართებაში შეტანილი უნდა იქნეს მინიმუმ 1 ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება, ხოლო აუდიტორულ ფირმასთან მიმართებაში არანაკლებ 2 ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გარიგება.

3^1. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი გარიგებების დალუქვა, გარდა ელექტრონული ფორმით წარმოდგენილი გარიგებებისა, ხორციელდება ამ წესის მე-11 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ინფორმაციის წარდგენიდან ან/და მონიტორინგის გეგმაში ცვლილების განხორციელებიდან უმოკლეს ვადაში.

3^2. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია წარადგინოს მონიტორინგის გეგმაში შეტანილ გარიგებებთან დაკავშირებული ინფორმაცია/დოკუმენტაცია ელექტრონული ფორმით, მათ შორის, უზრუნველყოს მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმისაწვდომობა პროგრამულად დაკომპლექტებულ ფაილზე, სამსახურის მოთხოვნის შემთხვევაში.

3^3. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რომელსაც კანონის ამოქმედების შემდგომ პერიოდში არ აქვს დასრულებული სულ მცირე 2 ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მონიტორინგი ვერ განხორციელდება (შეწყდება საწყის ეტაპზე), ხოლო აუდიტორი/აუდიტორული ფირმა რეესტრში აისახება როგორც „კატეგორიის გარეშე", მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე არსებული პერიოდით. ამ პუნქტით განსაზღვრული აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ გაწეული სხვა აუდიტორული მომსახურების არსებობის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია რისკზე დამყარებული მიდგომის საფუძველზე აღმოჩენილი გარემოების ფარგლებში განახორციელოს თემატური მონიტორინგი.

3^4. ამ მუხლის 3^3 პუნქტით გათვალისწინებული აუდიტორი/აუდიტორული ფირმა, რომელსაც მინიჭებული აქვს სტატუსი „კატეგორიის გარეშე", უფლებამოსილია მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურება გაუწიოს პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის სუბიექტებს.

4. მონიტორინგისთვის გარიგებების შერჩევის კრიტერიუმებია:

ა) გარიგების პარტნიორების ჩართულობა;

ბ) სდპ-ებთან ურთიერთობის ფაქტი;

გ) გარიგებასთან დაკავშირებული ეთიკური ხასიათის რისკები და უჩვეულო გარემოებები;

დ) დარგის ან კონკრეტული სიტუაციების რისკიანობა;

ე) იმ პირთა რაოდენობა და წრე, რომლებიც იღებენ შესაბამის გადაწყვეტილებებს აუდიტორის მიერ შესრულებული გარიგების საფუძველზე;

ვ) საკანონმდებლო საფუძველი, რომელიც ითვალისწინებს მონიტორინგს კონკრეტული გარიგებების მიმართ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №ნ-17 - ვებგვერდი, 05.11.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №ნ-18 - ვებგვერდი, 22.11.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №ნ-2 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 18. მონიტორინგის ძირითადი პროცედურები

1. მონიტორინგის პროცედურები მოიცავენ იმ ინფორმაციის და დოკუმენტაციის შეგროვებას და ანალიზს, რომლითაც დგინდება აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის, შესრულებული გარიგებების კანონით დადგენილ მოთხოვნებთან, პროფესიულ სტანდარტებთან, აგრეთვე რეგისტრაციის წესებთან და ,,უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობა.

2. სამსახურის მიერ მონიტორინგი ხორციელდება:

ა) ფირმის დონეზე (ფირმისა და რისკის პროპორციულად აუდიტორის შემთხვევაში) – ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQC 1), რეგისტრაციის წესებთან შესაბამისობის კუთხით;

ბ) გარიგების დონეზე (გარიგების პარტნიორისა და აუდიტორის შემთხვევაში) – აუდიტის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISA) შესაბამისობის კუთხით.

2[1].აუდიტორი/აუდიტორული ფირმა/გარიგების პარტნიორი, რომელსაც გავლილი აქვს მონიტორინგი და შეფასებულია ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მიერ ძირითადი ან/და არაძირითადი სამუშაო ადგილის შეცვლის ან/და აუდიტორული ფირმის რეორგანიზაციის/უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე, სამსახური უფლებამოსილია ახალი სამუშაო ადგილის/რეორგანიზებული პირის ფარგლებში გამარტივებული წესით ჩაატაროს აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მონიტორინგი, რაც აუდიტორული ფირმის რეორგანიზაციის/უფლებამონაცვლეობის შემთხვევაში გულისხმობს ხარისხის კონტროლის სისტემის შესაბამისი კომპონენტების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაციის შემოწმებას.

3. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფმა უნდა განსაზღვროს, თუ რამდენად შეიძლება მონიტორინგი დაეყრდნოს არსებული ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების, მიმოხილვის შიდა პროცესებს.

4. აუდიტორული ფირმისათვის მონიტორინგის პროცედურების ხანგრძლივობა დამოკიდებულია აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორების რაოდენობაზე, განხორციელებულ აუდიტორულ მომსახურებაზე და სამსახურში არსებული ინფორმაციით იდენტიფიცირებულ რისკის ფაქტორებზე.

5. მონიტორინგი ხორციელდება მონიტორინგის გეგმით გათვალისწინებული გარიგებებისა და დამატებით შერჩეული დოკუმენტაციის (ნაწილის) შესწავლის გზით. მონიტორინგის გეგმაში ასახული გარიგებებისა და დამატებითი გარიგებების შერჩევა ხდება, რისკზე დამყარებული მიდგომის ან/და შემთხვევითობის პრინციპის გამოყენებით.

6. აუდიტორი ან აუდიტორული ფირმა ვალდებულია უზრუნველყოს ინსპექტორი სათანადო სამუშაო პირობებით, მათ შორის, სამუშაო ოთახით. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია გამოყოს ინსპექტორთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი პირი.

7. სამსახური უფლებამოსილია მონიტორინგის პროცესის ნებისმიერ ეტაპზე ჩართოს შესაბამისი დარგის ექსპერტები და დამხმარე პერსონალი. აგრეთვე, საჭიროების შემთხვევაში, ზედამხედველობის ეფექტიანი განხორციელების მიზნით სამსახური თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, მათ შორის მარეგულირებელ/საზედამხედველო ორგანოებთან.

8.მონიტორინგის პროცესი მოიცავს მონიტორინგის სამუშაო ჯგუფსა და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, სუბიექტს შორის მოსაზრებების/ინფორმაციის გაცვლას. ამ მიზნით, სამსახური უფლებამოსილია უზრუნველყოს მონიტორინგის ყველა ეტაპზე დაინტერესებული მხარის ჩართულობა. დაინტერესებული მხარის უარი საკითხის განხილვაში მონაწილეობის მიღებაზე არ აჩერებს სამსახურის მოქმედებას. დაინტერესებულ მხარეს და მონიტორინგის პროცესში აუდიტორული ფირმის მხრიდან ჩართულ პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა წარადგინონ თავიანთი მოსაზრება მონიტორინგთან დაკავშირებულ ყველა გარემოებასთან დაკავშირებით.

9.მონიტორინგის პროცედურები სრულდება მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ შემუშავებული და სამსახურის უფროსთან შეთანხმებული კითხვარების, ანალიტიკური ფორმების და სხვა საშუალებებით.

10. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის და მონიტორინგის პროცესში ჩართული პირების მიერ საკითხის განხილვისას დგება სხდომის ოქმი, რომელშიც უნდა მიეთითოს:

ა) სხდომის დრო და ადგილი;

ბ) დამსწრე წევრების ვინაობა;

გ) განხილვის საგანი;

დ) მხარეთა მსჯელობა, წარმოთქმული შენიშვნები/წინადადებები.

11. შეგროვებული ინფორმაციის და დოკუმენტაციის შენახვა ხორციელდება სამსახურის მიერ განსაზღვრულ ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემაში.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 31 ივლისის ბრძანება №ნ-10 - ვებგვერდი, 31.07.2017 წ.

მუხლი 19. მონიტორინგის წინასწარი შედეგები

1. მონიტორინგის პროცესში და სხვა დაინტერესებული პირებისგან მიღებული ინფორმაციის და განმარტებების ანალიზის საფუძველზე მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ამზადებს და აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას წარუდგენს მონიტორინგის წინასწარ შედეგებს.

2. მონიტორინგთან დაკავშირებით წინასწარი შედეგების წარდგენა ხდება სამსახურის მიერ მოთხოვნილი ინფორმაციის სრულად მიღებიდან 1 თვის ვადაში. ინფორმაციის სრულად მიღება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი და მონიტორინგს დაქვემდებარებული პირი.

3. წინასწარ შედეგების ამსახველ ანგარიშში წარმოდგენილია მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ მონიტორინგის მსვლელობის შედეგად გამოვლენილი ფაქტები, რეკომენდაციები და წინასწარი დასკვნითი შეფასება (კატეგორია). ასევე, გამოთქმული შენიშვნები, წინადადებები და შესასრულებელი ღონისძიებები.

4.აუდიტორი, აუდიტორული ფირმა ან/და მასში დასაქმებული სერტიფიცირებული ბუღალტერი, აუდიტორი ან გარიგების პარტნიორი უფლებამოსილია პირადად ან/და წარმომადგენლის მეშვეობით

მიიღოს მონაწილეობა მის მიმართ შედგენილი მონიტორინგის ანგარიშის წინასწარი შედეგების განხილვაში და წარადგინოს ახსნა-განმარტებები (მათ შორის, ზეპირი ფორმით).

5. აუდიტორი და აუდიტორული ფირმა არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში წარადგენს წერილობით პოზიციას მისთვის წარდგენილ წინასწარ შედეგებთან მიმართებაში, რომელშიც, არსებობის შემთხვევაში, ასახავს საკუთარ შენიშვნებსა და წინადადებებს. საკუთარი პოზიციის წარუდგენლობა ამ პუნქტით გათვალისწინებულ ვადაში განიხილება, როგორც თანხმობა წინასწარ შედეგებზე.

6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ ვადაში შენიშვნების მიღებიდან არაუგვიანეს 20 სამუშაო დღის ვადაში მონიტორინგის სამუშაო ჯგუფი ვალდებულია, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის ანგარიშში შეიტანოს ცვლილება და ასახოს საბოლოო შედეგები.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.

მუხლი 20. მონიტორინგის საბოლოო შედეგები (მონიტორინგის ანგარიში)

1. მონიტორინგის საბოლოო შედეგების ამსახველ ანგარიშში შეტანილი უნდა იქნეს წინასწარი ანგარიშის შემდგომ განხორციელებული ყველა ცვლილება, მათ შორის აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ განსაზღვრულ ვადებში სამსახურისთვის წარმოდგენილი პოზიცია (შენიშვნები და წინადადებები), წინასწარ ანგარიშში ცვლილების შეტანის თაობაზე მათი სამსახურის მიერ გათვალისწინების შემთხვევაში.

2. წინასწარი შედეგების განხილვის ეტაპის დასრულების ან აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ სამსახურის მიერ მისთვის განსაზღვრულ ვადაში პოზიციის წარუდგენლობის შემთხვევაში, სამსახური იღებს გადაწყვეტილებას საბოლოო შედეგების ამსახველი, მონიტორინგის ანგარიშის მომზადების თაობაზე. მონიტორინგის საბოლოო შედეგები აისახება სამსახურის მიერ დადგენილი ფორმით მომზადებულ მონიტორინგის ანგარიშში.

3.სამსახური განიხილავს მონიტორინგის ანგარიშს და იღებს გადაწყვეტილებას აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის ან/და გარიგების პარტნიორისათვის შესაბამისი მოთხოვნების დადგენის თაობაზე, ან/და დაკმაყოფილების ან/და მისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების შესახებ.

4. აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილებით (მათ შორის, რეკომენდაციებით) განესაზღვრება შესასრულებელი ღონისძიებები.

5. სამსახურის გადაწყვეტილებაში აღინიშნება იმ გარიგების პარტნიორთა ვინაობა, რომლებიც უფლებამოსილნი არიან აუდიტორული ფირმის სახელით გააგრძელონ აუდიტორული მომსახურების (მათ შორის, სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის) განხორციელება.

5^1. გარიგების პარტნიორს სდპ-ის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება ენიჭება აუდიტორული ფირმის მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე არსებული პერიოდით. იმ გარიგების პარტნიორს, რომელიც ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურებას უწევს სუბიექტს (გარდა სდპ-ისა) ბოლო მონიტორინგის შედეგებით მინიჭებული უფლებამოსილება/შეზღუდვები უნარჩუნდება გარიგების პარტნიორის მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე.

5^2. აუდიტორული ფირმა, რომელსაც მიენიჭა სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება, მაგრამ მომდევნო, სავალდებულო წესით მონიტორინგის განხორციელებამდე არ ჩაუტარებია სულ მცირე 2 ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მონიტორინგი ვერ განხორციელდება (შეწყდება საწყის ეტაპზე), აუდიტორული ფირმა მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე უფლებამოსილია გააგრძელოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის მომსახურების განხორციელება პირველი, მეორე, მესამე, მეოთხე კატეგორიის სუბიექტებისთვის, ხოლო სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება უწყდება და აუდიტორული ფირმა რეესტრში აისახება როგორც „კატეგორიის გარეშე“. თუ აუდიტორულ ფირმას სურს ჩაატაროს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, ვალდებულია აუდიტორული მომსახურების განხორციელების შესახებ ხელშეკრულების გაფორმებამდე მიმართოს სამსახურს ხარისხის კონტროლის სისტემის

მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით.

5^3. ამ მუხლის 5^2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამსახური მონიტორინგის განხორციელების/მონიტორინგის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მიმართვიდან 5 სამუშაო დღის ვადაში.

5^4. აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ, რომელსაც მიენიჭა სუბიექტებისათვის (გარდა სდპ-ისა) აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება და მომდევნო, სავალდებულო წესით მონიტორინგის განხორციელებამდე არ ჩაუტარებია სულ მცირე 2 ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, მონიტორინგი ვერ განხორციელდება (შეწყდება საწყის ეტაპზე), აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას უნარჩუნდება ბოლო მონიტორინგის შედეგებით მინიჭებული უფლებამოსილება/შეზღუდვა მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე, ხოლო რეესტრში აისახება როგორც „კატეგორიის გარეშე.

6.სამსახური უფლებამოსილია აუდიტორის/აუდიტორულ ფირმისათვის მიცემული რეკომენდაციების ფარგლებში განუსაზღვროს პირებს დასაკმაყოფილებელი პირობები (მათ შორის, სუბიექტის დარგის სპეციფიკიდან ან ზომითი კატეგორიიდან გამომდინარე).

7.შესასრულებელ ღონისძიებათა შესრულება არ შეიძლება გახდეს აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის ამ წესის 21-ე მუხლის შესაბამისად გაცემული დასკვნითი შეფასების (კატეგორიის) შეცვლის საფუძველი, სანამ არ განხორციელდება მომდევნო მონიტორინგი.

8. სამსახური, აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მომდევნო მონიტორინგისას ხარისხის კონტროლის სისტემებზე და მასთან დაკავშირებულ პროცესებზე დაკვირვების უზრუნველყოფის მიზნით, ვალდებულია მონიტორინგის პროცესში შედგენილი და გამოყენებული, ელექტრონული ან/და მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია შეინახოს მონიტორინგის დასრულებიდან სულ მცირე 6 წლის განმავლობაში. ამ პუნქტით განსაზღვრული ვადის გასვლის შემდეგ, სამსახური უფლებამოსილია დოკუმენტაცია შესანახად განათავსოს დაწესებულების არქივში.

9. მონიტორინგის შედეგები (დასკვნითი შეფასების კატეგორია, მომსახურების შეზღუდვა, რეკომენდაცია და პასუხისმგებლობის სახე, ასეთის არსებობის შემთხვევაში) საჯაროა. აღნიშნული შესაბამისი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 სამუშაო დღის ვადაში აისახება რეესტრში. სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის და სუბიექტის შესახებ ინფორმაციის სრულად გამოქვეყნება, თუ აღნიშნული ინფორმაციის გამჟღავნება საფრთხეს უქმნის შესაბამისი დარგის ფინანსურ სტაბილურობას.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 8 ნოემბრის ბრძანება №ნ-21 - ვებგვერდი, 09.11.2017 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №ნ-17 - ვებგვერდი, 05.11.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2022 წლის 16 მარტის ბრძანება №ნ-2 - ვებგვერდი, 17.03.2022წ.

მუხლი 21. მონიტორინგის შედეგების დასკვნითი შეფასება (კატეგორია, შეზღუდვა) და რეკომენდაცია

1. სამსახურის მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილება მონიტორინგის შედეგების დასკვნით შეფასებასთან მიმართებაში უნდა იყოს რისკის პროპორციული და ემსახურებოდეს აუდიტორული და პროფესიული მომსახურების სამართლიანი პრაქტიკის ხელშეწყობას.

2 აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის მონიტორინგის საბოლოო შედეგების დასკვნითი შეფასება შეიძლება იყოს შემდეგი 6 კატეგორიის:

ა) პირველი კატეგორიის – როდესაც აუდიტორი/აუდიტორული ფირმა გაივლის მონიტორინგს შენიშვნების გარეშე ან კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური (იზოლირებული) მხოლოდ

უმნიშვნელო შენიშვნები ან არასისტემური (იზოლირებული) ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სისტემასთან აღმოჩნდა არასისტემური (იზოლირებული) მხოლოდ უმნიშვნელო შენიშვნები ან ისეთი შენიშვნები, რომლებიც მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ბ)მეორე კატეგორიის – კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად მეტია, ვიდრე უმნიშვნელო და შესაძლოა იყოს არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები. ამავე დროს, არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნების რაოდენობა არის მრავალრიცხოვანი, შემოწმებული გარიგების ზომის და სირთულის გათვალისწინებით ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სიტემასთან აღმოჩნდა შენიშვნები, რომლებიც მეტია, ვიდრე მხოლოდ უმნიშვნელო და ნაკლებია, ვიდრე არსებითი/მნიშვნელოვანი შენიშვნები. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორებისა და პერსონალის კვალიფიკაცია ადეკვატურია და ისინი ორიენტირებულნი არიან საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

გ)მესამე კატეგორიის – კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა არასისტემური და შესაძლოა სისტემური ხარვეზებიც, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად არსებითი და მნიშვნელოვანია ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სისტემასთან აღმოჩნდა არსებითი/მნიშვნელოვანი, მაგრამ არა ყოვლისმომცველი შენიშვნები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია საქმიანობის აკრძალვის გარეშე. აუდიტორის ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორებისა და პერსონალის კვალიფიკაცია ადეკვატურია და ისინი ორიენტირებულნი არიან საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

დ)მეოთხე კატეგორიის – კონკრეტულ გარიგებასთან დაკავშირებულ აუდიტის მტკიცებულებებთან, ძირითად აუდიტის მსჯელობებთან (სტრატეგიასთან) და შესაბამის ფუნდამენტალურ გადაწყვეტილებებთან მიმართებაში აღმოჩნდა სისტემური ხარვეზები, რომლებიც ინდივიდუალურად ან აგრეგირებულად არსებითი და მნიშვნელოვანია ან/და არსებულ აუდიტის მეთოდოლოგიასთან და ხარისხის კონტროლის სისტემასთან აღმოჩნდა არსებითი/მნიშვნელოვანი და შესაძლოა ყოვლისმომცველი შენიშვნები, რომელთა გამოსწორებაც შესაძლებელია საქმიანობის სრული აკრძალვის გარეშე. აუდიტორი ან აუდიტორული ფირმის გარიგების პარტნიორ(ებ)ი და პერსონალი ორიენტირებულია საკუთარი კვალიფიკაციის/აუდიტორული ფირმის ხარისხის გაუმჯობესებისკენ. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ე) მეხუთე კატეგორიის – თუ აუდიტორის მიერ/გარიგების პარტნიორის მიერ/აუდიტორულ ფირმაში აუდიტორული საქმიანობა საკმარისად კომპეტენტურად არ არის განხორციელებული; ან თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის კომპეტენციიდან გამომდინარე აუდიტორის/გარიგების პარტნიორის მიერ განხორციელებულმა აუდიტორულმა საქმიანობამ შესაძლოა ურყოფითად იმოქმედოს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობაზე, რის გამოც არსებობს საჭიროება, რომ აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას გარკვეული პერიოდით აეკრძალოს აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის უფლებამოსილება; ან/და ხარისხის კონტროლის სისტემაში აღმოჩენილი ხარვეზები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მან შესაძლოა ურყოფითად იმოქმედოს აუდიტორის პროფესიისადმი საზოგადოების ნდობაზე; ან თუ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვა აუცილებელია საზოგადოების ინტერესთა დასაცავად; ან თუ აღმოჩენილი ხარვეზები განსაკუთრებული სიმძიმით ხასიათდება, თუმცა სამსახურის მიერ მიიჩნევა, რომ ის აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ გამოსწორებადია გონივრულ ვადებში. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს არ აქვს დარღვეული პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code);

ვ) მეექვსე კატეგორიის – თუ აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ ხდება კანონმდებლობის ფუნდამენტურ მოთხოვნათა სისტემატურად შეუსრულებლობა ან/და სუბიექტის ან საზოგადოების შეგნებულად შეცდომაში შეყვანა ან/და იმ შემთხვევებში, როდესაც აუდიტორის/გარიგების პარტნიორის/აუდიტორული ფირმის მიერ განხორციელებული მომსახურება საშიშია საზოგადოებისთვის და სუბიექტთა ფუნქციონირებისათვის. აუდიტორს/გარიგების პარტნიორს დარღვეული აქვს პროფესიული ეთიკის კოდექსი (IESBA Code).

3. (ამოღებულია - 16.07.2021, №ნ-12).

3^1. (ამოღებულია - 16.07.2021, №ნ-12).

3^2. (ამოღებულია - 16.07.2021, №ნ-12).

3^3. სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა და მის გარიგების პარტნიორს, რომელსაც სამსახურის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად მიენიჭა სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება.

3^4. საბოლოო დასკვნითი შეფასების გაცემისას სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება გარიგების პარტნიორისთვის.

3^5. აუდიტორული ფირმისათვის სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილების მინიჭების მიუხედავად გარიგების პარტნიორი არ არის უფლებამოსილი განახორციელოს სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი თუ იგი არ ყოფილა მონიტორინგს დაქვემდებარებული ან ბოლო მონიტორინგით არ მინიჭებია სდპ-ის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარების უფლებამოსილება.

3^6. სამსახური უფლებამოსილია, აუდიტორული ფირმის ინიციატივით, თემატური მონიტორინგის განხორციელების გზით, სდპ-ისათვის აუდიტორული მომსახურების გაწევის უფლებამოსილება მიანიჭოს აუდიტორული ფირმის (რომელზეც გაცემულია პირველი ან მეორე კატეგორიის დასკვნა) გარიგების პარტნიორს. საბოლოო დასკვნითი შეფასების გაცემისას სამსახური უფლებამოსილია შეზღუდოს სდპ-ების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების უფლებამოსილება გარიგების პარტნიორისთვის.

3^7. პირველი ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და პირველი ზომითი კატეგორიის ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე ან მესამე კატეგორიის დასკვნა.

3^8. მეორე ზომითი კატეგორიის საწარმოებისა და მეორე ზომითი კატეგორიის ჯგუფების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის (რომელიც განსაზღვრულია კანონმდებლობით დადგენილი წესით) განხორციელების უფლებამოსილება აქვს იმ აუდიტორულ ფირმას და მის გარიგების პარტნიორს, რომელზეც სამსახურის მიერ გაიცა პირველი, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის დასკვნითი შეფასება.

3^9. ამ მუხლის 3^7 და 3^8 პუნქტების შესაბამისად, გარიგების პარტნიორისათვის მინიჭებული უფლებამოსილება/შეზღუდვები ვრცელდება ნებისმიერ აუდიტორულ ფირმაში საქმიანობისას (ფირმისათვის მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში) ან საქმიანობის ინდივიდუალურად განხორციელებისას, გარიგების პარტნიორის მომდევნო მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე.

4. ამ წესის მე-9 მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, სამსახური უფლებამოსილია აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას/გარიგების პარტნიორს მისცეს რეკომენდაცია იმ სუბიექტებთან გარიგებების დადებისაგან თავის არიდების თაობაზე, რომელთათვის აუდიტორული მომსახურების გაწევა სცილდება აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის შესაძლებლობას, სამსახურის მიერ რეკომენდებული სათანადო პირობების დაკმაყოფილებამდე.

5. სამსახური უფლებამოსილია დაავალოს იმ აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, რომელსაც აქვს მეორე, მესამე, მეოთხე ან მეხუთე კატეგორიის დასკვნითი შეფასება, აუდიტის გარიგების ხარისხის მიმოხილვისთვის დამატებითი მაღალკვალიფიცირებული სპეციალისტების (მათ შორის, გარიგების პარტნიორის) ჩართვა მიმდინარე გარიგებების დასასრულებლად. აღნიშნულ შემთხვევაში აუდიტის გარიგების საფუძველზე სუბიექტისათვის მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. მონიტორინგის შედეგები შესაძლებელია გახდეს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ აუდიტორული დასკვნის შეცვლის ან/და სუბიექტისათვის აუდიტის განმეორებით ჩატარების მოთხოვნის საფუძველი. ამ პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევაში ინფორმაცია წარედგინება დაინტერესებულ პირს/უწყებას.

7. თუ პირის მიმართ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის თაობაზე და სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა ამ წესის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა, იგი არ არის უფლებამოსილი აუდიტის ჩატარების ან/და დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების უფლების აკრძალვის პერიოდში მიმართოს სამსახურს ხელახალი მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით.";

8. მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში, თუ პირის მიმართ სამსახურის მიერ გამოყენებულ იქნა ამ წესის 22-ე მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული აკრძალვა, სამსახური იტოვებს უფლებას, მისცეს აუდიტორს/გარიგების პარტნიორს/აუდიტორულ ფირმას მიმდინარე გარიგების საფუძველზე შესასრულებელი მომსახურების დასრულების საშუალება. ამ შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია უზრუნველყოს პროცესის სისტემატური მონიტორინგი.

9. გადაწყვეტილება აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას ეგზავნება გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 სამუშაო დღის ვადაში.

10. ინფორმაცია აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის აკრძალვის ან უფლებამოსილების შეწყვეტის შესახებ ეგზავნება სუბიექტს, აუდიტორთან/აუდიტორულ ფირმასთან ხელშეკრულებით წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგების მიზნით.

11. თუ გარიგების პარტნიორი დაექვემდებარა მონიტორინგს, თუმცა მონიტორინგის საბოლოო შედეგების გამოვლენის ეტაპზე აღარ წარმოადგენდა აუდიტორული ფირმის მოქმედ გარიგების პარტნიორს, სამსახური უფლებამოსილია აღნიშნული პირის მონიტორინგის შედეგები ასახოს აუდიტორული ფირმის მონიტორინგის საბოლოო ანგარიშში (ფირმის დონეზე – ხარისხის კონტროლის საერთაშორისო სტანდარტებთან (ISQC 1) შესაბამისობის კუთხით).

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 8 ნოემბრის ბრძანება №ნ-21 - ვებგვერდი, 09.11.2017 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 21 ნოემბრის ბრძანება №ნ-23 - ვებგვერდი, 22.11.2017 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 27 დეკემბრის ბრძანება №ნ-25 - ვებგვერდი, 28.12.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 1 ნოემბრის ბრძანება №ნ-17 - ვებგვერდი, 05.11.2019წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

მუხლი 22. პასუხისმგებლობა

1. მონიტორინგის შესახებ გადაწყვეტილებებზე (მათ შორის რეკომენდაციებზე) და მათ აღსრულებაზე პასუხისმგებელია სამსახური.

2. ხარისხის კონტროლის სისტემის მიმართ მოთხოვნების და ამ სისტემის მონიტორინგის განხორციელებასთან დაკავშირებული მოთხოვნების დარღვევა გამოიწვევს

აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

2[1]. პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (IESBA Code) დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის რეესტრიდან ამოღებას.

3. სამსახური, საჭიროების შემთხვევაში, მონიტორინგის შედეგების საფუძველზე ვალდებულია ერთდროულად ან/და ცალ-ცალკე, თანამიმდევრულად, ხოლო დარღვევისა და შესაძლო რისკის სერიოზულობიდან გამომდინარე, – არათანამიმდევრულად, გამოიყენოს შემდეგი სანქციები:

ა) წერილობითი გაფრთხილება;

ბ) საჯარო გაფრთხილება (რეესტრში ასახვით);

გ) ფულადი ჯარიმა.

4. მეხუთე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური უფლებამოსილია არაუმეტეს 3 წლის ვადით აკრძალოს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის/გარიგების პარტნიორის მიერ აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების უფლება.

5. სამსახური აუდიტორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის/გარიგების პარტნიორისათვის აუდიტის ჩატარების ან/და აუდიტორულ დასკვნაზე ხელის მოწერის და აუდიტორული ფირმის პარტნიორებისთვის/აქციონერებისთვის ფუნქციების განხორციელების აკრძალვის ხანგრძლივობას განსაზღვრავს გამოვლენილი ხარვეზების შესაბამისად და გამოსწორებისთვის საჭირო პერიოდის გათვალისწინებით.

6. მეექვსე კატეგორიის დასკვნის გაცემის შემთხვევაში სამსახური ვალდებულია შეუწყვიტოს აუდიტორს/აუდიტორულ ფირმას რეგისტრაცია.

7. აუდიტორის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება მას პირადად. აუდიტორული ფირმის მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი დარღვევებისთვის პასუხისმგებლობა ეკისრება აუდიტორულ ფირმას ან/და გარიგების პარტნიორს.

8. თუ აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ან/და გარიგების პარტნიორი სამსახურის მიერ განსაზღვრულ ვადაში არ გაითვალისწინებს მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ შენიშვნებს ან/და რეკომენდაციებს, არ შეასრულებს მითითებებს შესასრულებელ ღონისძიებებთან დაკავშირებით, სამსახური ვალდებულია ასეთი აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიმართ ან/და კონკრეტულ აუდიტორულ დასკვნაზე – შესაბამისი გარიგების პარტნიორის მიმართ გამოიყენოს პასუხისმგებლობის ზომები კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. თუ სამსახურის მიერ გამოვლინდა გარიგების პარტნიორის ჩართულობა ისეთი საწარმოს ფინანსური ანგარიშგების აუდიტის ჩატარებაში რომლის აუდიტზეც ბოლო მონიტორინგის შედეგად მას ან მის დამსაქმებელ ფირმას ჰქონდათ შეზღუდვა, სამსახური უფლებამოსილია მიიღოს აუდიტორისათვის/გარიგების პარტნიორისათვის/აუდიტორული ფირმისათვის რეგისტრაციის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილება.

10. აუდიტორების/აუდიტორული (აუდიტური) ფირმების სახელმწიფო რეესტრის წარმოების მიზნებისათვის, აუდიტორული ფირმისა და გარიგების პარტნიორის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გახდეს აუდიტორულ ფირმაში დასაქმებული აუდიტორის მიერ განხორციელებული საქმიანობის შემოწმების საფუძველი.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2017 წლის 8 ნოემბრის ბრძანება №ნ-21 - ვებგვერდი, 09.11.2017 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2018 წლის 1 მარტის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 02.03.2018 წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2019 წლის 22 აპრილის ბრძანება №ნ-4 - ვებგვერდი, 23.04.2019წ.

მუხლი 23. გასაჩივრების წესი

სამსახურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს საბჭოსა და სასამართლოში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 24. გარდამავალი დებულებები

1. მონიტორინგი მოიცავს იმ აუდიტორულ გარიგებებს, რომელიც დასრულდა კანონის ამოქმედების შემდგომ, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აუდიტორულ ფირმას, აუდიტორს 2016 წლის და შემდგომ პერიოდში არ აქვს დასრულებული აუდიტორული მომსახურების გარიგება.

2. ის აუდიტორული ფირმები, რომელთაც ,,საზოგადოებრივი დაინტერესების პირების ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილების მინიჭების წესის დამტკიცების თაობაზე“ ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2016 წლის 11 ნოემბრის №37 ბრძანების საფუძველზე აქვთ მინიჭებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტის განხორციელების დროებითი უფლებამოსილება, ვალდებულნი არიან წარადგინონ ქსელის ფარგლებში ჩატარებული უკანასკნელი ხარისხის კონტროლის სისტემის შემოწმების შედეგები, ხოლო ის აუდიტორული ფირმები, ვინც არ არიან ქსელის წევრები, თავისუფლდებიან ამ წესის მე-8 მუხლით განსაზღვრული დიაგნოსტიკური ანგარიშის წარმოდგენისაგან.

3. სამსახური ვალდებულია დაასრულოს კანონის 28-ე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრული დროებითი უფლებამოსილების მქონე იმ აუდიტორული ფირმის ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგი, რომელმაც მას ხარისხის კონტროლის სისტემის მონიტორინგის განხორციელების მოთხოვნით 1 ოქტომბრამდე მიმართა, და შესაბამისი შედეგები რეესტრში 2018 წლის 1 იანვრამდე ასახოს.

4. სამსახურის მიერ პროფესიული ორგანიზაციების განგრძობითი განათლების პროგრამების აღიარებამდე, აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია ნაწილი №3-ით წარმოდგენილი განგრძობითი განათლების გრაფაში, გარდა პროფესიული ორგანიზაციისა, ასახოს აუდიტორის მიერ აუდიტორული ფირმის ფარგლებში გავლილი კურსის შესახებ. ამ პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაცია უნდა მოიცავდეს კანონის ამოქმედების შემდგომ პერიოდში გავლილ კურსს.

5. ამ ბრძანების 21-ე მუხლის 3^7 და 3^8 პუნქტების მოქმედება არ ვრცელდება იმ აუდიტორზე/აუდიტორულ ფირმაზე, რომლის მიმართაც სამსახურის მიერ არ განხორციელებულა მონიტორინგი. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა უფლებამოსილია მონიტორინგის შედეგების გამოვლენამდე აუდიტორული მომსახურება გაუწიოს პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კატეგორიის სუბიექტებს.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 16 ივლისის ბრძანება №ნ-12 - ვებგვერდი, 20.07.2021წ.

დანართი N3

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.

მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით აუდიტორისაგან/აუდიტორული ფირმისგან ინფორმაცია/დოკუმენტაციის ელექტრონული ფორმით გამოთხოვის წესი

მუხლი 1. წარსადგენი ინფორმაცია/დოკუმენტაცია

1. მონიტორინგის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, სამსახური საქმიანობის ინდივიდუალურად განმახორციელებელი აუდიტორისაგან/აუდიტორული ფირმისგან, რომელსაც გავლილი არ აქვს მონიტორინგი ან ბოლო მონიტორინგის შედეგად მიენიჭა მეხუთე კატეგორიის დასკვნითი შეფასება, ელექტრონული ფორმით გამოითხოვს ინფორმაციას/დოკუმენტაციას პირველი, მეორე და მესამე ზომითი კატეგორიის სუბიექტთათვის ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით.

2. აუდიტორი/აუდიტორული ფირმა ვალდებულია:

ა) აუდიტორული მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებიდან 10 სამუშაო დღეში ელექტრონული ფორმით ასახოს ინფორმაცია:

ა.ა) სუბიექტის შესახებ (საიდენტიფიკაციო ნომერი, სახელწოდება და კატეგორია);

ა.ბ) აუდიტორული მომსახურების უწყვეტად განხორციელებული წლების რაოდენობის შესახებ;

ა.გ) აუდიტორული მომსახურების ხელშეკრულების თარიღისა და საგნის შესახებ;

ა.დ) გარიგების პარტნიორის ვინაობისა და რეესტრში რეგისტრაციის ნომრის შესახებ;

ა.ე) აუდიტს დაქვემდებარებული საანგარიშგებო პერიოდის დაწყებისა და დასრულების თარიღის შესახებ;

ა.ვ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების (დღგ-ს გარეშე) შესახებ (თანხა აისახება ეროვნულ ვალუტაში);

ა.ზ) გარიგების შეფასებული რისკის შესახებ (დამკვეთის აყვანის ან ურთიერთობის გაგრძელების ეტაპზე);

ბ) კვარტალში ერთხელ, არაუგვიანეს აპრილის/ივლისის/ოქტომბრის/იანვრის თვის 20 რიცხვისა, ელექტრონული ფორმით ასახოს ინფორმაცია:

ბ.ა) გარიგებაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის შესახებ;

ბ.ბ) აუდიტორული მომსახურების დაწყებისა და დასრულების თარიღის შესახებ;

ბ.გ) გარიგების შეწყვეტის შესახებ.

შენიშვნა:

1. გარიგების შეწყვეტის შემთხვევაში არ მიეთითება ამ პუნქტის ,,ბ.დ“ და ,,ბ.ე“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ინფორმაცია.

2. გარიგების შეწყვეტის შესახებ ინფორმაციის ამ პუნქტით დადგენილი წესით დადასტურება არ ჩაითვლება ,,მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 13^2 მუხლის მოთხოვნის შესრულებად და აუდიტორი/აუდიტორული (აუდიტური) ფირმა ვალდებულია საწარმოსთან დადებული ხელშეკრულებიდან გასვლა შესაბამისი დასაბუთებით შეატყობინოს სამსახურს.

ბ.დ) დასკვნის გაცემის თარიღის შესახებ;

ბ.ე) აუდიტორული მოსაზრების ტიპის შესახებ.

მუხლი 2. ინფორმაციის გამოყენების ფარგლები
ამ წესის შესაბამისად წარდგენილი ინფორმაცია არ ექვემდებარება გასაჯაროვებას.

მუხლი 3. პასუხისმგებლობა
ამ ბრძანებით დადგენილი წესების დარღვევა გამოიწვევს აუდიტორის/აუდიტორული ფირმის ან/და შესაბამისი გარიგების პარტნიორის პასუხისმგებლობას კანონით დადგენილი წესით.

დანართი N4

(იხილეთ თანდართული ფაილის სახით)

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2020 წლის 10 ივნისის ბრძანება №ნ-8 - ვებგვერდი, 11.06.2020წ.
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის 2021 წლის 22 იანვრის ბრძანება №ნ-1 - ვებგვერდი, 25.01.2021წ.